

**ბათუმის კონფერენცია და სამარცხვინო
დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება**
(1918 წლის 11 მაისი-4 ივნისი)

ტრაპიზონის კონფერენცია მიმდინარეობდა მეტად რთულ და დაძაბულ ვითარებაში.¹ 1918 წლის 31 მარტს /13 აპრილს/ ჩატარდა ამიერკავკასიის მთავრობის, სეიმის პრეზიდენტისა და ფრაქციების წარმომადგენლების გაერთიანებული სხდომა, რომელზეც მიიღეს დადგენილება ტრაპიზონიდან დელეგაციის გამოწვევის შესახებ.² შემდეგ გაიმართა სეიმის სხდომა. სიტყვით გამოვიდნენ: წერეთელი, არუთინიანი, ლორთქიფანიძე, ჯუღელი, ჟორდანიას, ჩხეიძე, რუსთამბეგოვი, სეზონოვი და სხვ. გაირკვა, რომ სეიმის მუსლიმი წევრები ოსმალეთის წინააღმდეგ მოქმედებაში არავითარ მონაწილეობას არ მიიღებდნენ. სეიმის სხდომაზე აზერბაიჯანელმა რუსთამბეგოვმა „მუსავატის“ მაჰმადიანთა უპარტიო ჯგუფისა და რუსეთის მუსლიმური პარტიის „ითთიჰათის“ სახელით განაცხადა, რომ ოსმალეთთან ომი მოითხოვს მთელი ძალების გაერთიანებას, რაც სადღეისოდ შეუძლებელია. იმის გამო, რომ ჩვენს ხალხს აქვს მტკიცე ეროვნულ-რელიგიური კავშირი ოსმალეთთან, ჩვენ ამ ომში მონაწილეობას ვერ მივიღებთო. უთუოდ ეს იყო მთავარი მიზეზი ოსმალეთთან ომის არიდებისა და არა რუსთამბეგოვის მიერ წამოყენებული კიდევ ერთი სიძნელე რომ ჩვენში სამხედრო ვალდებულება არ არსებობსო.

სეიმმა მიიღო მანიფესტი ამიერკავკასიის ერებისადმი: სამშობლო განსაცდელშია, შველას ითხოვს, ჩვენ წინაშე დგას არჩევანი: ან სამარცხვინო ზავი და მონობა, ან ომი. სამარცხვინო ზავს ხელს ვერ ძოვაწერთ, ამიერიდან დავა უნდა გადაწყდეს იარაღით ხელში, ბრძოლის კელზე. ყველანი თოფით, ყველანი ფრონტისაკენ! ყველანი სამშობლოსა და თავისუფლების დასაცავად!³

ამ განსაცდელის უამს ვერ მოხერხდა ძალების კონსოლიდაცია. მიუხედავად ქართველებისა და სომხების თავგანწირული ბრძოლისა, მათი რაზმები ვერ უძლებდნენ ოსმალეთის რეგულარული ჯარის შეტევას და თანდათანობით უკან იხევდნენ. 2 /15/ აპრილს ოსმალებმა ბათუმი დაიკავეს, 4 /17/ აპრილს ოზურგეთი. შემდეგ ბრძოლა გაიმართა მდ. ჩოლოქთან, სადაც ოსმალები სასტიკად დამარცხდნენ.

¹ მ. სვანიძე, ტრაპიზონის კონფერენცია. 1918 წ. 14 მარტი-14 აპრილი, ქართული დიპლომატია, წელიწადი, 5, 1998, გვ. 19-34.

² Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тб., 1910 г, документ № 82,83.

³ იქვე, დ. № 85.

ამისდა მიუხედავად, მათ შეძლეს თითქმის მთელი მესხეთისა და სომხეთის ტერიტორიის ნაწილის დაკავება. ამ ხნის განმავლობაში /9 აპრილიდან 23 აპრილამდე/ ოსმალეთის ჯარმა გაცილებით უფრო ვრცელი ტერიტორია დაიკავა, ვიდრე ეს იყო დადგენილი ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით. ასეთ ვითარებაში ომის გაგრძელებას აზრი არ ქონდა. ომით დაკარგულ ტერიტორიებს ვერ დაიბრუნებდი. მთავრობამ დააჩქარა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება, რასაც ოსმალეთის მთავრობა მოითხოვდა ტრაპიზონის კონფერენციაზე და ხელშეკრულების დადების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად თვლიდა.

9/22/ აპრილს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხი განიხილეს სეიმის სხდომაზე. მოხსენებით გამოვიდა დ. ონიაშვილი. კამათში მონაწილეობა მიიღეს რასულ-ზადემ, გრ. გიორგაძემ, თუმანოვმა, სემიონოვმა, გვაზავამ, ლორთქიფანიძემ, კაჩაზუნმა, ლასხიშვილმა, კანტემიროვმა, აღამალოვმა, არსენიძემ და გობეჩიამ.

სეიმმა მიიღო დადგენილება /ორი წინააღმდეგი იყო/: 1. გამოცხადდეს ამიერკავკასია დამოუკიდებელ ფედერაციულ რესპუბლიკად. 2. დაევალოს მთავრობას კონსტიტუციის შემუშავება. სეიმის ყველა წევრი ფეხზე ადგომით, მხურვალე ხანგრძლივი ტაშით შეხვდა ამ ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებას.⁴

ამგვარად, გაუქმდა ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელიც არსებობდა 1917 წლის ნოემბრიდან და მის ნაცვლად შეიქმნა დამოუკიდებელი ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა.

სეიმის ამავე სხდომაზე მოისმინეს აკ. ჩხენკელის ანგარიში ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების შესახებ და მასვე დაევალა გაეგრძელებინა მოლაპარაკება ოსმალეთთან ზავის დადების მიზნით.⁵

ე. გეგეჭკორის მთავრობა გადადგა და ახალი მთავრობის შედგენა დაავალა აკ. ჩხენკელს, მანვე დაიკავა საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა.

აკ. ჩხენკელმა აცნობა ოსმალეთის მთავრობას, რომ ამიერკავკასიის მთავრობას სურვილი აქვს, განაახლოს საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან, ხოლო ოსმალეთის კავკასიის ფრონტის მთავარსარდალს ვეჰიბ-ფაშას სთხოვა, შეაჩეროს საომარი მოქმედება, ვიდრე არ დამთავრდება საზავო მოლაპარაკება.⁶ მაგრამ თურქებმა მაინც დაარღვიეს პირობა, დაიკავეს ყარსი და გაემართნენ ალექსანდრეპოლისაკენ /გუმბრი/. აკ. ჩხენკელმა პროტესტი განაცხადა ოსმალთა ამ მოქმედების გამო, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.

11 /24/ აპრილს ვეჰიბ-ფაშამ შეატყობინა აკ. ჩხენკელს: 1. ოსმალეთის მთავრობამ იცნო ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა; 2. ოსმალეთის მთავრობამ მიიღო ამიერკავკასიის წინადადება ბათუმში მოლაპარაკების

⁴ Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тб., 1990 г, документ № 99.

⁵ იქვე, დ. №100.

⁶ იქვე, დ. №102.

განახლებაზე; 3. ოსმალეთის მთავრობა გაგზავნის დელეგაციას ქალილ-ბეის მეთაურობით, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ ბათუმში ჩამოვა; 4. ჩრდილოეთ კავკასიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და მისი დელეგაცია, რომელიც კონსტანტინოპოლში იმყოფება, ოსმალეთის დელეგაციასთან ერთად გამოემგზავრება ბათუმში.⁷

აკ. ჩხენკელმა მოსთხოვა ვეჰიბ-ფაშას ოსმალეთის ჯარის გაყვანა ოზურგეთიდან, რადგან აღნიშნული ტერიტორია 1878 წლის ზავამდე რუსეთს ეკუთვნოდა. ამის საპასუხოდ 3 მაისს ვეჰიბ-ფაშა აკ. ჩხენკელს სწერდა: „ის ტერიტორია, რომელიც ოსმალეთის ჯარმა დაიკავა ოზურგეთის რაიონში და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლის საზღვრის აქეთა მხარეს მდებარეობს, დაიცლება და დაუბრუნდება ამიერკავკასიის მთავრობას მას შემდეგ, როდესაც ბათუმის მოლაპარაკება კარგ შედეგებს გამოიღებსო.“⁸ ეს კი იმის მომასწავებელი იყო, რომ ოსმალეთი აღარ კმაყოფილდებოდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით წილხვედრი პროვინციებით და ახალი საზღვრების დადგენა მოინდომა. მისი ეს განზრახვა აშკარა გახდა ბათუმის კონფერენციაზე.

ამიერკავკასიის მთავრობამ დაამტკიცა ბათუმის კონფერენციაზე გასაგზავნი დელეგაცია 45 კაცის შემადგენლობით. აქედან დელეგატი ექვსი იყო: აკ. ჩხენკელი /ხელმძღვანელი/ და ნ. ნიკოლაძე საქართველოდან, რ. კაჩაზნუნი და ხატიშოვი - სომხეთიდან, მ. განჯინსკი და მ. რასულ-ზადე აზერბაიჯანიდან. მათ გარდა იყვნენ მრჩეველები, უწყებათა წარმომადგენლები, ქართული, სომხური და მუსლიმური ეროვნული საბჭოების მდივნები, სამხედრო მრჩეველები /ორი გენერალი და სამი პოლკოვნიკი/ და სხვ. დელეგაციაში შედიოდნენ აგრეთვე ი. ოდიშელიძე, ზ. ავალიშვილი, ღამბაშიძე, რ.მიქელაძე, გ. ქიქოძე და სხვ.

6 მაისს ამიერკავკასიის დელეგაცია ბათუმში ჩავიდა, მაგრამ არა როგორც მასპინძელი, არამედ ოსმალეთის სტუმარი.

ოსმალეთის დელეგაციის მეთაური იყო ქალილ-ბეი - ახალგაზრდა თურქთა ერთ-ერთი ლიდერი, იუსტიციისა და დროებით საგარეო საქმეთა მინისტრი, ვეჰიბ ფაშა - ოსმალეთის კავკასიის ფრონტის ჯარების მთავარსარდალი, ორჰანბეი - ოსმალეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, რომელიც მონაწილეობდა ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციაში, ნუსრეთ ბეი - მთავრობის იურისკონსულტთა ბიუროს დირექტორი, იუსულ ბეი - მე-6 კორპუსის შტაბის უფროსი და სხვ.

1918 წლის 27 აპრილს სტამბოლში დაიდო საიდუმლო ხელშეკრულება გერმანიასა და ოსმალეთს შორის ამიერკავკასიაში გავლენის სფეროების განაწილების შესახებ, რამაც გარკვეული გავლენა მოახდინა კონფერენციის მსვლელობასა და მის შედეგებზე.

⁷ Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тб., 1990 г, документ №106.

⁸ იქვე, დ. №129.

გერმანიის დელეგაციის მეთაური იყო გენერალ-მაიორი ფონ ლოსოვი, გერმანიის მთავარი შტაბის რწმუნებული სტამბოლში. დელეგაციის წევრები: გენერალური კონსული გრაფი შულენბურგი, იმპერიის საგარეო დეპარტამენტის რწმუნებული ეკონომიკურ საკითხებში, გერმანიის ფლოტის კაპიტანი ფონ-ჰააზე, საზღვაო საკითხების მრჩეველი ფონ ვეზენდოკი.

გერმანიას ამიერკავკასიაში ჰქონდა თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები და ამიტომ დათანხმდა, მონაწილეობა მიეღო ბათუმის კონფერენციაში. გერმანიის დელეგაციას კარგად ესმოდა, რომ ოსმალეთი აღარ დაკმაყოფილდებოდა ბრესტის ზავის პირობებით და ამიერკავკასიის დელეგაციას ახალ მოთხოვნებს წაუყენებდა. გერმანიის დელეგაციის მიზანი იყო, შეეზღუდა თავისი მოკავშირის ექსპანსიონისტური ზრახვები ისე, რომ არ შელახულიყო მისი ქვეყნის ინტერესები. როგორც ჩანს, გერმანიის დელეგაცია ბათუმის კონფერენციაზე გამოდიოდა მეთვალყურისა და შუამავლის როლში.

ოსმალეთის მთავრობის ინიციატივით ბათუმში ჩამოვიდა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის დელეგაცია. მათი მოლაპარაკების მიზანი იყო, ოსმალეთის ხელშეწყობით, ჩრდილოეთ კავკასიის შეერთება ამიერკავკასიასთან.

კონფერენციას უნდა დასწრებოდნენ აგრეთვე ავსტრია-უნგრეთისა და ბულგარეთის წარმომადგენლები, მაგრამ ისინი ბათუმში არ ჩასულან.

II მაისს გაიხსნა ბათუმის სამშვიდობო კონფერენცია. თითქოს ისე ჩანდა, რომ ბათუმის კონფერენციაზე რაიმე არსებითი სადღო საკითხი აღარ წამოიჭრებოდა, რადგან ყოველივე ეს მოგვარდა ტრაპიზონის კონფერენციაზე და ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შედეგად, მაგრამ მოვლენები სხვანაირად განვითარდა.⁹

ენვერ-ფაშას, ტრიუმფირატის ყველაზე აქტიურ წევრსა და თურქეთის ჯარების მთავარსარდალს, კვლავ დაებადა სურვილი „დიდი თურანის“ შექმნისა, რაც გულისხმობდა ოსმალეთის მფარველობითა და ხელისშეწყობით კავკასიაში თურქული სახელმწიფოების აღდგენას, ასევე ირანის აზერბაიჯანსა და შუა აზიაში. შემთხვევითი არაა, რომ ოსმალების მიერ ბათუმის დაკავების შემდეგ აქ ჩამოვიდნენ ენვერ-ფაშა და ჯემალ ფაშა, ასევე ტრიუმფირატის წევრი, რომლებიც დიდ იმედებს ამყარებდნენ ამ კონფერენციაზე. აღსანიშნავია, რომ ჰალილ ბეიმ ბათუმში გამგზავრების წინ ინახულა ტრიუმფირატის წევრი და პრემიერ-მინისტრი თალაათ ფაშა და მისგან მიიღო დირექტივები კონფერენციასთან დაკავშირებით.¹⁰

ბათუმის კონფერენციის გახსნისთანავე, ჰალილ-ბეიმ, მისმა თავმჯდომარემ, მოითხოვა ოსმალეთის ჯარების გატარება ამიერკავკასიის რკინიგზით ბაქო-ირანის მიმართულებით. ამასთანავე მან

⁹ მ. სუანიძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის ისტორიიდან, გაზ. „სახალხო განათლება“, 1991 წლის 22 მაისი, გვ. 2-6.

¹⁰ იქვე.
A.N. Kurat *Turkiye ve Rusya (1798-1919)* Ankara, 1920, s.175.

განაცხადა, რომ ტრაპიზონში მოლაპარაკება შეწყდა და განახლდა საომარი მოქმედება ოსმალეთსა და ამიერკავკასიას შორის. ჰალილ-ბეიმ თქვა, რომ ახალ ვითარებაში ოსმალეთი აღარაა თანახმა, მომავალი მოლაპარაკების ერთადერთ საფუძვლად მიიჩნიოს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება და იტოვებს უფლებას, წამოაყენოს ახალი მოთხოვნები. ჰალილ-ბეის განცხადებით მოლაპარაკებას საფუძვლად უნდა დაედოს ოსმალეთის მიერ შემუშავებული საზავო ხელშეკრულების ტექსტი, რომელიც მან გადასცა ამიერკავკასიის დელეგაციას.¹¹

აკ. ჩხენკელმა მოითხოვა, კონფერენციას საფუძვლად დაედებოდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება, რომლის ოფიციალური ტექსტი დღემდე მისთვის არ იყო ცნობილი. ჰალილ-ბეიმ კვლავ განაცხადა, რომ ტრაპიზონის კონფერენციის შედეგად შეიქმნა ახალი ვითარება, სისხლი დაიღვარა და მოლაპარაკებას საფუძვლად უნდა დაედოს ოსმალეთის მიერ შემუშავებული ხელშეკრულება.

12 მაისს ამიერკავკასიის დელეგაციის მეთაური აკ. ჩხენკელი საქართველოს მთავრობას უგზავნის საიდუმლო წერილს, რომელშიც გაანალიზებულია ბათუმის კონფერენციის დაწყების შემდეგ შექმნილი მდგომარეობა: „გუშინ, წერს იგი, - გვექონდა პირველი ოფიციალური სხდომა. მე გავაკეთე განცხადება, რომ მოლაპარაკებას საფუძვლად ბრესტის ზავი უნდა დაედოს და მოვითხოვე მისი ოფიციალური ტექსტის წარმოდგენა. ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარემ თქვა, ტრაპიზონის შემდეგ, რაც თქვენმა მთავრობამ გაგიწვიათ, მდგომარეობა შეიცვალა და ამიტომ მოლაპარაკების საფუძვლად მე განსაკუთრებულ პროექტს ვადგენო“.¹²

შემდეგ აკ. ჩხენკელი მოკლედ განიხილავს ოსმალეთის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტს: „ოსმალეთის პროექტი ყოვლად შეუწყნარებელია: 1. აჭრის ჩვენს სხეულს ახალციხეს, ახალქალაქს და ერევნის გუბერნიის თითქმის ყველა მაზრას, სადაც სომხების კომპაქტური მასა ცხოვრობს; 2. ოსმალები ერევიან წესრიგის აღდგენაში ჩვენში; 3. რკინისგზა მათ განკარგულებაშია ომის დროს და სხვა ეკონომიური ბორკილები“.¹³

აკ. ჩხენკელი ითხოვდა, რომ მის მიერ გამოგზავნილი საზავო ხელშეკრულების პროექტი არ გახმაურებულიყო, რადგან ამას შეიძლებოდა უარყოფითი შედეგები მოჰყოლოდა.

აკ. ჩხენკელი კონფერენციაზე შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით შემდეგ გეგმას სთავაზობს: „1. სამხედრო-

¹¹ Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тб., 1990 г, документ № 131.

¹² სცსსა ფონდი №61, აღწერა 2, საქმე 23, ფ. 3-4; ელიაყა წინო, დარჩენილია ერთადერთი გზა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება - რამდენიმე დოკუმენტი საქართველოს დემოკრატიული განვითარების ისტორიიდან (1918-1921 წწ) - საისტორიო მოამბე, 1992 წ. №63-64, გვ. 167-180.

¹³ აკ. ჩხენკელის ეს წერილები აგრეთვე გამოქვეყნებულია წიგნში: ა. სილაგაძე, ე. გურული, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. - 1917-1918, თბ., 1998, გვ. 108-112; 121-126; 130-137.

პოლიტიკური ხელშეკრულება იკვრის არა მარტო ოსმალეთთან, არამედ მის მოკავშირეებთანაც. ამას გავიყვან, მაგრამ ისე უნდა გავიყვანო, რომ გერმანია ოსმალეთის მოკავშირედ დარჩეს. ეს კი შესაძლებელია, თუ ჩვენ თვითონ არ გავუძნელეთ გერმანულ დელეგაციას ეს მისია ჩვენი უდროო ყვირილით, რაიმე მოულოდნელი გადაწყვეტილებებით. 2. საფუძველი ჩვენი მოლაპარაკებისა ბრესტის ზავია. ესეც გავა, ალბათ, ვინაიდან გერმანელნი არ არიან მსურველნი მისი დარღვევისა. ეს უკვე გამოსჭვივოდა ფონ ლოსოვის გუშინდელი ნათქვამიდან. 3. თუ საქმე მიდგა ჩვენი რკინისგზის სარგებლობაზე, ეს შეუძლია, მხოლოდ ოთხივე სახელმწიფოს. ესეც გავა, იმედია.

ვთქვათ, ეს გეგმა არ გავიდა, გერმანელებმა არ დაგვიჭირეს ისე ძლიერად მხარი, რა ექნათ? თათრებმა გასწირეს სომხები: აზერბაიჯანი ცალკე წავა, შეიძლება ოსმალეთზე გადავიდეს. ეს მოხდება მაშინვე, როგორც კი ომი გამოცხადდება ამიერკავკასიის სახელით. რა უნდა ქნას ქართველმა ერმა? ერთადერთი გზაა: ომში არ გაერიო. ომი ყელს გამოჭრის ერს, მოსპობას უქადის. უძლური კი ვართ ვუშველოთ სომხებს. მე ტრაპიზონშიც და აქაც უფრო სომხების პოლიტიკას ვაწარმოებდი, ე.ი. ემოქმედებ ამიერკავკასიის სახელით, თუმცა კი ვიცი, საქართველოს სახელით ზავი ხუთჯერ მოხდებოდა აქამდის. ოსმალეთს სურს, სომხები არ იყონ წევრი ამიერკავკასიის ფედერაციისა. თუ თავისი პროექტი სისრულეში მოიყვანა, ეს ნიშნავს იმას, რომ გერმანია მას დაეთანხმა, როგორც ოსმალეთის საზღვრებში წინათ. ამ შემთხვევაში ჩვენ უძლურნი ვართ, და ეს უფრო იმიტომ, რომ თათრები ჩვენთან არ არიან. ოსმალეთთან ომი ჩვენთვის ამ პირობებში პირდაპირ სიგიჟეს მოასწავებს. ჩვენ ყველანი დამნაშავენი ვიქნებით, სხვა არაფერი, ჩასაქოლაენი. ეს წერილი არ დაკარგო, შავს არ ვიტოვებ, მაგრამ ისეთი საპასუხისმგებლო მომენტი, რომ უნდა იცოდეთ მომავლისათვის“.¹⁴

რა გამოსავალია? კითხულობს აკ. ჩხენკელი და პასუხობს: „საქართველო დარჩება ცალკე. მთავრობის როლს ეროვნული საბჭო იკისრებს, მაგრამ დამოუკიდებლობის გამოცხადება მას არ ეჭირება, ის რუსეთის ჯარების გასვლის შემდეგ ისევ იურიდიულ სუბიექტად იქცევა, ე.ი. უბრუნდება იმ მდომარეობას, რომელშიც იყო 1801 წელს. ამის გარდა, შარშან შემოდგომას ოფიციალური ნოტებია გაცვლილი გერმანიას, ავსტრია-უნგრეთს, ბულგარეთსა და ოსმალეთს შორის, რომ ისინი ვალდებულნი არიან იცნონ საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს ნოტა პირობითი არაა, ე.ი. საქართველოს არ თხოვენ არაფერს ამისათვის... ეს არაა ძველი ნოტა 1915 წლისა, სადაც პირობად საქართველოს აჯანყება იყო დასახელებული. ეს ასეა, გერმანიის დელეგაციამ გადმოცა საიდუმლოდ, რაც შემდეგ დამიდასტურეს ბერლინიდან. დასკვნა: საქართველოს ომში ჩარევა დამლუპველია“.¹⁵

¹⁴ სესსა ფონდი 1861, აღწერა 2, საქმე 23, ფ. 3-4; საისტორიო მოამბე, 1992 წ. №63-64, გვ. 169.

¹⁵ იქვე, გვ. 169-170.

შემდეგ აკ. ჩხენკელი ლაპარაკობს იმ მცდელობაზე, რასაც იგი იჩენს მშვიდობის დაცვის საქმეში. „ნუ დაგავიწყდებათ, - წერს იგი, - საქართველოზე არაა ახლა ჩემი ზრუნვა, მე მინდა ამიერკავკასიისათვის გამოვვლიჯო ზავი. ეს შეიძლება, იმედი მაქვს, მაგრამ ვშიშობ ჯერ სომხები და მერე თათრები ცეცხლს შეგვინთებენ. პირველი ომი თქვენ დაშნაკების გავლენით და თუ მეორეჯერაც ეს დაგემართათ, შეუწყნარებელი იქნებოდა. კიდევ მეტი: მე დაბეჯითებით ვურჩევდი სომხებსაც არ იომონ, მაშინ გერმანელები ფიზიკურად გადაარჩენდნენ, მაგრამ ცოტა იმედია, რომ ეს ქნან“.¹⁶

აკ. ჩხენკელი სთხოვს ნოე რამიშვილს, მიიღოს ზომები პრესის მიმართ, რათა მან ხელი არ შეუშალოს ბათუმში დაწყებულ მოლაპარაკებას. „ჩააგონეთ პრესას, მოითხოვს აკ. ჩხენკელი, განსაკუთრებით „ბორბას“ და „იზვესტიას“, ნუ ლაყობენ სისულელეს. უნდა შეურიგდეთ ერთხელ და სამუდამოდ იმ აზრს, რომ ეს ორგანოები მთავარი პარტიისაა, რომელიც მთავრობაშია - აქ აქცევენ მას ყურადღებას“.¹⁷

დასასრულს აკ. ჩხენკელი სთხოვს ნოე რამიშვილს, სასწრაფოდ ჩავიდეს ბათუმში ნოე ჟორდანი, „რომ ჩვენ მოლაპარაკებას მეტი საფუძველი მიეცეს“.¹⁸

ამრიგად, აკ. ჩხენკელი ასე აანალიზებს და ცდილობს გამონახოს გამოსავალი იმ რთული მდგომარეობიდან, რომელშიც აღმოჩნდა ამიერკავკასიის დელეგაცია კონფერენციის გახსნის პირველი დღიდანვე.

ახალი საზავო ხელშეკრულების პირობები გაცილებით უფრო მძიმე და კაბალური იყო ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობებთან შედარებით. განსაკუთრებით აღმაშფოთებელი იყო ტერიტორიული პრეტენზიები: ოსმალეთი აღარ კმაყოფილდებოდა ყარსის, არტანისა და ბათუმის მხარეების შეერთებით და დამატებით მოითხოვდა ახალციხის, ახალქალაქის, ალექსანდროპოლის, ეჩმიადინის და სურმალინის მხარეების შემომტკიცებას. ამგვარად, ოსმალები ცდილობდნენ მიეღწიათ რუსეთ-ოსმალეთს შორის 1829 წლამდე არსებული საზღვრის აღდგენისათვის. ამ მიზნის მისაღწევად ოსმალები სხვადასხვა საშუალებას მიმართავდნენ. მაგალითად, თავისი ემისრების წყალობით შეძლო, ქართველების წინააღმდეგ განეწყო ახალციხისა და ახალქალაქის მაკმადრიანური მოსახლეობა და გამაკმადრიანებული მოსახლეობის ნაწილი. მათ ბათუმის კონფერენციის სახელზე შემდეგი შინაარსის წერილი გაგზავნეს:

„ახალციხის და ახალქალაქის მაზრების ტერიტორია 1828 წ. ძალით იქნა წართმეული ოსმალეთისაგან, მანამდე იგი 300 წლის განმავლობაში

¹⁶ სცსსა ფონდი 1861, აღწერა 2, საქმე 23, ფ. 3-4; საისტორიო მოამბე, 1992 წ. №63-64, გვ. 169.

¹⁷ იქვე.

¹⁸ იქვე.

მისი /ოსმალეთის-მ.ს./ ხელისუფლების ქვეშ იმყოფებოდა... აღნიშნული მაზრების მუსლიმების სრული განადგურებისაგან ხსნის მიზნით, იმის გამო, რომ შეუძლებელია მაჰმადიანთა მშვიდობიანი ცხოვრება ამიერკავკასიის შემადგენლობაში, ეთხოვოს ოსმალეთის მთავრობას, რომ შეიერთოს სამშვიდობო ხელშეკრულებით ახალციხის მაზრა მთლიანად და ახალქალაქის მაზრის ნაწილი... ეს დადგენილება მიღებულია მაზრების მთელი მაჰმადიანური მოსახლეობის სრული თანხმობით, რომლებიც თანახმანი არიან, ოსმალეთის მთავრობის მხრივ დახმარებაზე უარის თქმის შემთხვევაშიც იბრძოლონ თავისუფლებისათვის უკანასკნელ ვაზნამდე. თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე ახალციხის და ახალქალაქის მაზრები, სადაც უმრავლესობას მაჰმადიანები შეადგენენ, ჩაითვალოს ამიერკავკასიიდან გამოყოფილად და ოსმალეთთან შეერთებულად და დაუყოვნებლივ მოხდეს ამ აქტის პრაქტიკული განხორციელება, რის შესახებაც ეცნობოს ამიერკავკასიის მთავრობას." თან ერთვის ორმოცი ხელმოწერა.¹⁹

ზ. ავალიშვილი ბათუმის კონფერენციაზე შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით წერს: „ჩვენ მაშინვე დავიწყეთ დავა ოსმალეთთან მათ მიერ წარმოდგენილ გეგმების გამო: ჩვენ საკმაოდ სავალალო მდგომარეობაში ერთად-ერთი იარაღი დაგვრჩენოდა - მემორანდუმები და ნოტები!

„შეჯიბრება ქალაქებში“ - მათი შედგენა მე მქონდა მინდობილი. ჩვენ დავდექით სასტიკ ფორმალურ ნიადაგზე: ოსმალეთის წინააღმდეგ ჩვენ გცდილობდით მიგვებრუნებია ბრესტ-ლიტოვსკის სწორეთ ის ხელშეკრულება, რომლითაც ჯერ ტრაპიზონში ოსმალეთს უნდოდა ქედი მოეხრევინებია ამიერკავკასიისათვის“.²⁰

ბათუმში კი ვითარება შეიცვალა. ამიერკავკასიის დელეგაციის განცხადებით, ოსმალეთს არა აქვს უფლება, მოითხოვოს იმაზე მეტი, რაც დათმობილი აქვს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით. ამასთანავე, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მეოთხე მუხლს შემდეგ ინტერპრეტაციას აძლევდა: „თქვენ ოსმალეთის იმპერიას თქვენის პროექტით უმატებთ იმ ტერიტორიებს, რომელთა სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მოწესრიგება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მეოთხე მუხლის პირობით არის შემოზღუდული? იქ ხომ „მეზობელ სახელმწიფოთა“ უფლებები წინასწარ მიღებულია: მეზობელთა თანხმობით ბათუმის, ყარსის და არტაანის მოსახლეობამ უნდა შეიმუშაოს ამ მიწა-წყლის ახალი წეს-წყობილება. მეზობელი სახელმწიფოები არიან უპირველეს ყოვლისა ოსმალეთი, მაგრამ შემდეგ ამიერკავკასიაც, თქვენ კი პირდაპირ მიგაქვთ ეს პროვინციები, სცვლით, არა მარტო თქვენ მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებას, რომელიც ამ საქმეში განსაზღვრულ წილს ჩვენც გვითმობს. ასე არ შეიძლება. ერთი

¹⁹ Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тб., 1990 г, документ № 160.

²⁰ ზ. ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საგარეო პოლიტიკაში, მოგონებანი, ნარკვევები. პარიზი - 1924 წ., თბ., გვ. 42, 43.

სიტყვით, დასძენს ზ. ავალიშვილი, ეხლა უკვე ჩვენ გამოვდიოდით ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დამცველებათა²¹

თავის დროზე ამიერკავკასიის მთავრობას გულდასმით რომ შეესწავლა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების პირობები და აქედან გამომდინარე ტრაპიზონში მიმავალი დელეგაციისათვის მიეცა სათანადო ღირექტივები, შესაძლებელია, მაშინ ტრაპიზონის კონფერენციის მსვლელობა სულ სხვა მიმართულებით წარმართულიყო და აღარ ყოფილიყო საჭირო ახალი კონფერენციის მოწვევა ბათუმში. უფიქრობთ, ამიერკავკასიის მთავრობამ მაშინ დაუშვა შეცდომა, როდესაც ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციაზე თავისი წარმომადგენელი არ გაგზავნა.²²

ენვერ ფაშამ, ვინაიდან ემზადებოდა ამიერკავკასიაში ფართო მასშტაბიანი ოპერაციების დაწყებისათვის, აქ გადმოისროლა სამხედრო შენაერთები სირია-პალესტინიდან და ევროპიდანაც კი. კერძოდ, ეს იყო მე-15 დივიზია, რომელიც ჯერ კიდევ რჩებოდა ევროპის საომარ ასპარეზზე და ოსმალეთში მოქმედ დივიზიებთან შედარებით ბევრად უფრო კარგად იყო გაწვრთნილი და აღჭურვილი.²³

ამიერკავკასიაში ლაშქრობის დაწყებასთან ერთად, ოსმალეთმა აამოქმედა მთელი თავისი აგენტურა, რომელიც მას რუსეთის ტერიტორიაზე ჰყავდა და რომელსაც თურქები „ფარულ ენერგიას“ უწოდებდნენ.²⁴

15 მაისს ოსმალეთის დელეგაციის მეთაურმა ჰალილ-ბეიმ კვლავ გაიმეორა ულტიმატუმი - მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ზავი შეთანხმების საფუძველად აღარ გამოდგება. იმავე დღეს ოსმალეთის ჯარი ალექსანდრეპოლისაკენ გაემართა.

ამიერკავკასიის დელეგაციამ უარყო ოსმალეთის ეს მემორანდუმი და განაცხადა, რომ ვერავითარ ახალ ტერიტორიულ დათმობაზე ვერ წავალთ.

მდგომარეობა გართულდა იმის გამოც, რომ საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა გერმანიის მთავრობის შუამავლობით მოითხოვა ბათუმის საზავო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის უფლება და ამასთანავე განაცხადა, რომ მისი მონაწილეობა არ ნიშნავს ამიერკავკასიის მთავრობის ცნობას, რასაც, ბუნებრივია, ვერ დაეთანხმა ამიერკავკასიის დელეგაცია. აკ. ჩხენკელმა გადაჭრით უარყო ჩიჩერინის წინადადება და აღნიშნა, რომ საბჭოთა რუსეთის ჩარევა ამიერკავკასიის საქმეებში მიუღებელია.²⁵

²¹ ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საგარეო პოლიტიკაში, მოგონებანი, ნარკვევები. პარიზი - 1924 წ., თბ., გვ. 44.

²² მ. სუანიძე, ბრესტის ზავი და საქართველო, ქართული დიპლომატია. წელიწადი, 3, თბ., 1996, გვ. 285-304.

²³ ო. გიგინეიშვილი, თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, თბ., 1963, გვ. 189-192.

²⁴ იქვე.

Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тб., 1990 г, документ № 156.

აკ. ჩხენკელმა დახმარებისთვის მიმართა გერმანიის დელეგაციის მეთაურს გენერალ ფონ ლოსოვს. მან აცნობა აკ. ჩხენკელს, რომ რუსეთის საგარეო კომისარმა ჩიჩერინმა განუცხადა მოსკოვში გერმანიის ელჩს მირბახს, რომ რუსეთის მთავრობას არ დაუყოვნებია მიუღლო გერმანიის შუამდგომლობა რუსეთის მიერ ამიერკავკასიის ცნობის შესახებ. გერმანიის შუამდგომლობით მიაღწიეს შეთანხმებას, რომ ამიერკავკასიის მთავრობის ცნობის მიზნით მისი წარმომადგენელი მაჩაბელი დაიწყებდა მოლაპარაკებას კიევი (ეს ადგილი დაასახელა გერმანიამ) რუსეთის მთავრობასთან. ჩიჩერინის აზრით, კიევი ნაკლებად მოსახერხებელია და უმჯობესი იქნებოდა საბჭოთა რუსეთის ფარგლებში, ამიერკავკასიის მახლობლად.²⁶ მაგრამ ეს შეხვედრა არ მომხდარა მდგომარეობის შეცვლის გამო.

1918 წლის 18 მაისს ოსმალეთის დელეგაციის მეთაურმა ჰალილ-ბეიმ ამიერკავკასიის დელეგაციას გადასცა მემორანდუმი, რომლის მიხედვით: 1. ოსმალეთი არ სცნობს ამიერკავკასიის რესპუბლიკას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ; 2. ოსმალეთი არ აცხადებს უარს ტერიტორიულ პრეტენზიებზე ამიერკავკასიის მიმართ; 3. ამიერკავკასია არ წარმოადგენს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ხელისმომწერ მხარეს, უფრო მეტიც, ამ ზავის დადებისას ის არც წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ამიტომ ამიერკავკასიის რესპუბლიკას უფლება არა აქვს, გამოთქვას შენიშვნები ამ ზავის შესახებ, ან ამ პირობების ცხოვრებაში გატარებაზე.²⁷

როგორც ცნობილია, ტრაპიზონის კონფერენციაზე ოსმალეთი მოითხოვდა ამიერკავკასიის დელეგაციისაგან, გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა და ეცნო ბრესტის ზავის პირობები. ახლა, როდესაც ამიერკავკასიის მთავრობამ შეასრულა ეს მოთხოვნა, ოსმალეთი ამით აღარ კმაყოფილდება და ახალი, კიდევ უფრო კაბალური მოთხოვნები წამოუყენა ამიერკავკასიის დელეგაციას და ერთდროულად დაძრა შეიარაღებული ძალები თავისი ზრახვების რეალიზაციის მიზნით. ერთი სიტყვით, ოსმალეთი ძალის პოლიტიკას ახორციელებდა, ხოლო ამიერკავკასიის მთავრობას არ ძალუძდა მისთვის წინააღმდეგობის გაწევა. შექმნილ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალი იყო, გერმანიის დახმარებით შეეზღუდა ოსმალეთის ექსპანსიონისტური ზრახვები.

გერმანია არ იყო დაინტერესებული ოსმალეთის ამიერკავკასიაში გაბატონებით, ხოლო ოსმალეთს კი თავისი თავი ამიერკავკასიის ბატონ-პატრონად მიაჩნდა. გერმანია განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ამიერკავკასიის ბუნებრივი რესურსებით, კერძოდ კი ბაქოს ნავთობითა და ჭიათურის მარგანეცით.

ბათუმის კონფერენციის გახსნისათვის გერმანიამ ხელში ჩაიგდო უკრაინა, მაისის დასაწყისისათვის ხელთ იგდო როსტოვი და მიისწრაფოდა ჩრდილოეთ კავკასიისაკენ. გერმანიის ხელთ იმყოფებოდა

²⁶ Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тб., 1990 г, документ № 156.

²⁷ იქვე. №145. ა. სილაგაძე, ვ. გურული, დასახ. ნაშრომი, გვ. 46, 47.

აგრეთვე ყირიმი. გერმანიას სურდა, ამიერკავკასიაში ოსმალეთის მოქმედებისათვის კონტროლი დაეწესებინა და არ დაეშვა თავისი ინტერესების შელახვა.

ასეთ ვითარებაში ამიერკავკასიის დელეგაციის მეთაურმა აკ. ჩხენკელმა გადაწყვიტა, დახმარება გერმანიის დელეგაციისათვის ეთხოვა.

19 მაისს ფონ ლოსოვმა ამიერკავკასიის დელეგაციას აცნობა შემდეგი: „ვინაიდან თქვენსა და ოსმალეთს შორის მოლაპარაკება წინ არ მიიწევს, წინადადებას ვიძლევი, მოიხმაროთ ჩემი კეთილი შუამდგომლობა“.¹⁸

ამ წინადადებას დიდი კმაყოფილებით შეხვდა აკ. ჩხენკელი და ეს საკითხი განიხილეს ამიერკავკასიის დელეგაციის სხდომაზე. გამოიკვია, რომ დელეგაციის მაკმადიანი წევრები განჯინსკი და რასულ-ზადე სხვადასხვა მოტივით უარყოფდნენ ლოსოვის წინადადებას. მხოლოდ ქართველი და სომეხი დელეგატების მოთხოვნით მიიღეს იგი. შექმნილ ვითარებაში ლოსოვის შუამავლობას უაღრესად დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. გერმანიის დელეგაცია, როგორც ითქვა, არ იყო დაინტერესებული ოსმალეთის პოზიციების ესოდენ გაძლიერებით და ცდილობდა, ოსმალეთის პრეტენზიები შემოეფარგლა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების პირობებით.

ბათუმში კონფერენციის მსვლელობის დროს კიდევ უფრო გამწვავდა უთანხმოებანი საქართველო-სომხეთისა და დელეგაციის მუსლიმურ ნაწილს შორის. მაკმადიანი დელეგატები თითქმის დაუფარავად გამოდიოდნენ ოსმალეთის მხარეზე. იყო შემთხვევები, როდესაც ისინი აშკარად მოითხოვდნენ დელეგაციის დანარჩენი წევრებისაგან, უყოყმანოდ მიეღოთ ოსმალეთის მოთხოვნა. ასეთმა აშკარა ანტიქართულმა და ანტისომხურმა პოზიციამ არსებითად შეუძლებელი გახადა კონფერენციის წარმატებითი დასრულება და დააყენა საკითხი ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლისა, რის შედეგადაც წარმოიქმნებოდნენ ცალკეული დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ამრიგად, ამიერკავკასიის მთლიანობას საფუძველი გამოეცალა და ამიერკავკასიის რესპუბლიკა განწირული აღმოჩნდა.

ბათუმის კონფერენციაზე შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე აკ. ჩხენკელი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. აკ. ჩხენკელმა მიმართა ნ. ყორდანიას, ჩასულიყო ბათუმში შექმნილი მდგომარეობის გასარკვევად. „ბათუმიდან მივიღე დეკემა, იგონებს ნ. ყორდანია, ჩავედი, დამხვდა შემზარავი სურათი: ერთი მხრით სეიმის დელეგაცია, მეორე მხრით მუსულმანების კერძო დელეგატები. არ დაგვტოვოთ, ჩვენ თქვენთან ვართ, - ევედრებოდნენ ისინი სტამბოლს“.¹⁹ შემდეგ ნ. ყორდანია განაგრძობს: „სომხებს არავინ ყურს არ უგდებდა, ხოლო ქართველები

¹⁸ Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тб., 1990 г, документ № 147.

¹⁹ ნოე ყორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 88.

მჭევრმეტყველობით ამიერკავკასიის დამცველებად გამოდიოდნენ, რასაც არავითარი ფასი არ ჰქონდა. ამნაირათ აზერბაიჯანმა გაარღვია რა ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა და გადაბარგდა მტრის ბანაკში, დაინგრა სეიმის დელეგაცია, რასაც უნდა მოყოლოდა თვით სეიმიც. ქართველთა დელეგაციამ გამართა თათბირი. მივედით იმ დასკვნამდე, რომ შექმნილ მდგომარეობიდან ერთ-ერთი გამოსავალია: სეიმის დაშლა და სამი ერის მიერ თავთავისი დამოუკიდებლობის გამოცხადება... ჩვენი აზრი მოისმინეს გერმანელებმაც და აღგვითქვეს დახმარება... მაშასადამე, დღის წესრიგში დაისვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ეს იყო სრულიად მოულოდნელი, არასოდეს არ გათვალისწინებული ამბავი... ამ მისიით დავბრუნდი თბილისში".³⁰

ზ. ავალიშვილი ასე აგვიწერს ბათუმში ნ. ჟორდანიას განწყობილებას: „იგი ეტყობოდა მერყეობდა, რაც სავსებით გასაგები და კანონიერი იყო: საქართველოს დამოუკიდებლობის აზრი არ ეგუებოდა მის მთელ ადრინდელ მუშაობის დოქტრინას, სოციალ - დემოკრატიული პარტიის კუთვნილებას. მაგრამ რაკი „ირწმუნა“, ოსტატის ხელით შეუდგა ახალი პროგრამის გატარებას“.³¹

ამრიგად, ნ. ჟორდანია ბათუმში ჩასვლის შემდეგ კონფერენციაზე არსებული სიტუაციისა და საქართველოსა და ამიერკავკასიაში შექმნილი მდგომარეობის საფუძველზე საბოლოოდ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება.

22 მაისს ნ. ჟორდანია თბილისში დაბრუნდა და შეუდგა დასახული ამოცანის განხორციელებას.

აკ. ჩხენკელი თვალყურს ადევნებდა საქართველოს პრესას და უკმაყოფილო იყო იქ დაბეჭდილი წერილებით. 22 მაისს ბათუმიდან აკ. ჩხენკელმა საქართველოს ეროვნულ საბჭოსა და აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდენტის სახელზე გამოგზავნა საიდუმლო წერილი, რომელშიც გააკრიტიკა პრესა: „მე წავიკითხე ზოგიერთი ახალი გაზეთი, რის გამო მოვალედ ვთვლი ჩემს თავს რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ. ჩვენი გაზეთები ჯერ კიდევ კამათობენ იმის შესახებ, გამოცხადდეს თუ არა საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, მაშინ როდესაც უმწვერვალესად საჭიროა მტკიცე ნაბიჯი გადაიდგას ახლავე. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ეს გაზეთები სრულიად უპასუხისმგებლოდ გრძნობენ თავს; არც კი ფიქრობენ, რომ მათ ნაწერებს აქ კითხულობენ და სარგებლობენ ცნობებით; არც ერთი არაა გამსჭვალული სახელმწიფო აზრით. როცა სამშობლო უფსკრულის წინა დგას, საჭიროა არა კინკლაობა, არამედ ყველა სასიცოცხლო ძალების კონცენტრაცია, რომ ერს არ მოაკლდეს თუ გინდ ერთი მუჭა ხალხის

³⁰ ნოე ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 88, 89.

³¹ ზურაბ ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა..., გვ. 75.

წვლილიც. როცა ვკითხულობ გაზეთებს, ვერა ვგრძნობ თვით ერის მაჯისცემას, პრესა არ გამოხატავს მის სულისკვეთებას“.³²

აკ. ჩხენკელს ჯერ კიდევ აქონდა იმედი, რომ საქართველოს დელეგაცია შესძლებდა ოსმალეთთან დაზავებას. „მე უკანასკნელ წუთამდე, წერს იგი, არ დამიკარგავს იმედი, რომ შეიძლებოდა შეგვეკრა ზავი ამიერკავკასიის სახელით. მართალია, ჩვენმა თათრებმა თავიანთი სეპარატიული ნაბიჯებით ძირი გამოუთხარეს დელეგაციის მუშაობას, მაგრამ, ვინაიდან გერმანიის დელეგაცია სრულიად არ იზიარებდა თურქეთის პოზიციას, ამიტომ რაიმე იმედიც საფუძვლიანი იყო. თურქებმა მართლაც ვერ გაბედეს, მიუხედავად მუქარისა, ულტიმატუმის გამოგზავნა, მაგრამ სამაგიეროდ მათ მიმართეს მეორე ხერხს: ახორციელებენ ფაქტიურად თავიანთ დაპყრობითს პოლიტიკას. ერევნის გუბერნიას წაესიენ, განჯაში თავიანთი მთავრობა დასვეს, რასაც მთელი აზერბაიჯანის მიკედლება ჰყვება, დარჩა მარტო საქართველო, რომელსაც ემუქრებიან ყოველი მხრიდან“.³³

აკ. ჩხენკელი ოსმალეთთან ზავის დადების შეუძლებლობას აბრალებდა მუსავატიისტებს, რომლებმაც, თურქებთან თავიანთი სეპარატიისტული საქმიანობით, ძირი გამოუთხარეს დელეგაციის მუშაობას. ასეთ ვითარებაში, მისი აზრით, საქართველოს სამი შესაძლებლობა დარჩა: „ა) საქართველო აზერბაიჯანთან ერთ სახელმწიფოს წარმოადგენს. ეს ნიშნავს თურქების სრულ ბატონობას, რაც მიუღებელია. როცა აზერბაიჯანში თურქები სხედან და ამავე დროს არსებობს ამიერკავკასიის საერთო მთავრობა, ეს მოასწავებს ოსმალეთის ბატონობის იურიდიულ ცნობას, რასაც ფაქტიური დაპყრობა მოჰყვება. ბ) საქართველო სომხეთთან ერთად ადგენს ერთ სახელმწიფოს. არ არსებობს ფაქტიურად სომხეთის ტერიტორია ამიერკავკასიაში, ვინაიდან ის თურქების ხელშია, შეუძლებელია, მაშასადამე მათთან ერთი სახელმწიფოს შექმნა. კიდევაც რომ არსებობდეს ეს ტერიტორია, მაშინაც, არ შეიძლება სომხებთან სახელმწიფოებრივი კავშირი, ვინაიდან ეს მიუღებელია როგორც თურქებისათვის, ისე თათრებისათვის. დაპყრობა ამ შემთხვევაში კიდევ უფრო აშკარაა. გ) საქართველოს დამოუკიდებლობა - აი ერთადერთი გამოსავალი. ამ შემთხვევაში არა ვართ დაზღვეულნი თურქების შემოსევისაგან, მაგრამ სწორედ ამიტომ ამ უბედურებას წინ უნდა უსწრებდეს დამოუკიდებლობის გამოცხადება, რომ უფლებრივი ნიადაგი მაინც არ დაეკარგოს“.³⁴

აკ. ჩხენკელმა თავისი ეს მოსაზრება გააცნო გენ. ფონ ლოსოვს, რომელმაც „კატეგორიულად განაცხადა, რომ დარწმუნებულია ერთადერთი გზა - საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. მან, - წერს აკ.

³² სცსსა, ფონდი 1836, აღწერა I, საქმე 132, ფ. 13-14; საისტორიო მოამბე, 1992 წ., № 63-64, გვ. 178.

³³ სცსსა, ფონდი 1836, აღწერა I, საქმე 132, ფ. 13,14; საისტორიო მოამბე, 1992 წ., № 63-64, გვ. 176, 177.

³⁴ იქვე.

ჩხენკელი, კიდეცაუც გაუგზავნა თავის მთავრობას ცნობა, რომ ამიერკავკასია არ არსებობს /ოსმალეთის წინადადება მოსკო ის/, არსებობს მხოლოდ საქართველო, რომელიც გამოაცხადებს ხვალვე დამოუკიდებლობას და გთხოვთ ცნობას და მფარველობას“.³⁵

აკ. ჩხენკელი მსჯელობს აგრეთვე იმ პრაქტიკულ ნაბიჯებზე, რომელიც უნდა გადადგას საქართველომ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ: „ჩვენ გვეწვევა მაშინვე, როგორც კი დამოუკიდებლობას გამოვაცხადებთ, /შულენბურგი -გერმანიის კონსული თბილისში - მ.ს./ მთავრობასთან გერმანიის იმპერიის წარმომადგენელი ელჩის უფლებებით ინიშნებიან ქალაქებში - კონსულები, მსწრაფლივ გარდაქმნან გერმანია-ავსტრიის ტყვეები ჯარისკაცებად და გადავიდნენ საქართველოს მთავრობის განკარგულებაში, რომ ამით ფაქტიურად გამოეცხადოს საქართველოს გერმანიის მფარველობის ქვეშ ყოფნა... ყველა ეს მოგვარდება მაშინვე, როგორც კი მივიღებ დამოუკიდებლობის გამოცხადების ოფიციალურ ცნობას. როგორც კი მოვა ეს ცნობა, ფორმალურად გაუკეთდება ნოტიფიკაცია მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობებს, გერმანია - ოსმალეთის დელეგაციების პირით. ამას მაშინვე მოჰყვება სამშვიდობო მოლაპარაკება, ვინაიდან სუბიექტი საერთაშორისო უფლებისა - ამიერკავკასიის სახელმწიფო უკვე აღარ არსებობდეს იქნება, მაშასადამე, მასთან ხელშეკრულება შეუძლებელია“.³⁶

აკ. ჩხენკელი ჩქარობდა. 23 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოსა და აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდენტის სახელზე გაგზავნილ მიმართვაში წერდა: „ მე ვფიქრობ, თქვენ უკვე გამოაცხადეთ დამოუკიდებლობა. თუ არა, მაშინ მე არ მესმის თქვენი ტაქტიკა. ერთერთი გამოსავალი მხოლოდ ესაა, სხვა გზა დახშულია. არც ეს გზა გვიხსნის ყოველი ხიფათისაგან“.³⁷

შემდეგ აკ. ჩხენკელი იძლეოდა მითითებებს, რა უნდა გაკეთებულიყო დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ: „ საქართველოს მთავრობის პირველი ნაბიჯი უნდა იყოს: მან უნდა სთხოვოს გერმანიას მფარველობა თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად, დადგენილება ამის შესახებ უნდა გადაეცეს გრაფ შულენბურგს - ყველა ეს ხდება საიდუმლოდ. შულენბურგს მიეცემა აქედან ინსტრუქცია, რომლის ძალით ის ამ თქვენს შუამდგომლობას გადასცემს თავის მთავრობას...ამ შემთხვევაში ის გამოიყვანს თავის პატარა რაზმს ტყვეებისაგან შემდგარს, მიეგებება მომხდომ თურქებს და განუცხადებს, რომ საქართველო უკვე გერმანიის მფარველობის ქვეშ იმყოფება, თურქებს არა აქვთ უფლება, მისი ტერიტორია გადმოლაზონ. მთავრობა მიიღებს მეორე დადგენილებას, რომ ის ანდობს თავის წარმომადგენელს ბათუმში გაუკეთოს გერმანიის წარმომადგენელს საიდუმლო ხელშეკრულება

³⁵ სკსსა, ფონდი 1136, აღწერა 1, საქმე 132, ფ. 14,15; საისტორიო მოამბე, 1992 წ., № 63-64, გვ. 177, 178.

³⁶ იქვე.

³⁷ იქვე.

როგორც მფარველობაზე, ისე ამ მფარველობის იურიდიულ ფორმაზე. აგრეთვე სხვა ხელშეკრულებანი დროებითი ხასიათისა, ყოველივე ეს საიდუმლო რჩება, რა თქმა უნდა.

აუცილებლად საჭიროა მყისვე შემატყობინოთ დამოუკიდებლობის გამოცხადება არა მარტო ტელეგრაფით, არამედ წერილობითაც კანონიერად შემოწმებული ქართულ ენაზე, აგრეთვე დამოუკიდებლობის აქტის ტექსტი.¹⁸

აკ. ჩხენკელი აგრეთვე აფრთხილებდა: არც პრესაში, არც პარლამენტში ცუდად არ მოიხსენიოთ გერმანია, ოსმალეთი, არც მეზობელი ერები, ეს თავი და თავი პირობაა. დიდად მოსალოდნელია, რომ ოსმალეთი მოისურვებს მაშინვე საქართველოსთან ზავი შეკრას, ამიტომ მისი გაღიზიანება შეუწყნარებელია. პირიქით, გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ჩვენ გვსურს კარგი განწყობილება გვექონდეს მეზობელ სახელმწიფოებთან.¹⁹

შემდეგ აკ. ჩხენკელი მიუთითებდა იმ რთულ და მძიმე მდგომარეობაზე, რომელშიც იმყოფებოდა სამშობლო და მოუწოდებდა, ენერგიული ზომები მიეღოთ მის დასაცავად: "კიდევ ვიმეორებ, ყოყმანი ამ წუთში დანაშაულია, ჩვენ გვიხსნის მხოლოდ გამბედაობა, სისწრაფე, მტკიცე ნაბიჯები. ყველა ისინი, ვინც ამ წუთში დაძრავს ენას რუსეთის ორიენტაციის შესახებ, შესაბოჭია. ამ მიმართულების გაზეთები ყველა უნდა დაიხუროს.

ბოლშევიზმი სამშობლოს დალატია - ესაა ერთადერთი თქვენი ლოზუნგი. პანიკა შეუწყნარებელია. საჭიროა შრომის განაწილება, ლაპარაკი და რეზოლუციები დამღუპველია".¹⁰

აკ. ჩხენკელი მსჯელობს იმის შესახებ, თუ რა პოზიციას დაიკავებდა ოსმალეთი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში: „დაბეჯითებით არ შეიძლება ითქვას, რას იტყვის ოსმალეთი ამ ფაქტის წინაშე. ზოგიერთი ამბობს, რომ ოსმალეთი კარგად შეხვდება ამ ამბავს და შეეცდება მოურიგდეს საქართველოს; ზოგიერთი ამბობს, რომ ეს შესაძლებელია. პირველ შემთხვევაში ზავი აქ შეიძლება შეიკრას, თუ მასში გერმანიის დელეგაციაც ურევია; მეორე შემთხვევაში საჭიროა მხოლოდ ფორმალური პროტესტი ჯარების შემოსვლის წინააღმდეგ, სასტიკი ბრძოლა ბანდებთან, თუ ისინი თურქეთის სამხედრო ფორმას არ ატარებენ. მეორე შემთხვევაში ფონ ლოსოვი წავა აქედან, რომ პირდაპირ ნახოს ვილჰელმი და კანცლერი, მას მეც უნდა გავყვი, რომ საჩქაროდ იქნას ზომები მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავათ".¹¹

¹⁸ სცსსა, ფონდი 1836, აღწერა I, საქმე 132, ფ. 15. საისტორიო მოამბე, 1992 წ., № 63-64, გვ. 179.

¹⁹ იქვე.

¹⁰ სცსსა, ფონდი 1836, აღწერა I, საქმე 132, ფ. 15. საისტორიო მოამბე, 1992 წ., №63-64, გვ. 179, 180.

¹¹ იქვე.

შემდეგ აკ. ჩხენკელი ეხება საქართველოს მომავალი საზღვრების საკითხს: „საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა გამოცხადდეს საზღვრების აღმოსაჩენად. ხსენებული ნოტების თანახმად საქართველოში შედის ბათუმის მხარე, სოხუმისა და ზაქათალას ოლქები, მათი ხსენება გამოიწვევს საქმის უმწვერვალესად გამწვავებას, თუ გამოვტოვებთ, ჩვენ თვითონ უარყოფთ იურიდიულად ჩვენს უფლებას. ეს უნდა მიენდოს საგარეო საქმეთა მინისტრის საიდუმლო მოქმედებას და შეთანხმებას გერმანიის მთავრობასთან“.⁴²

თავის წერილს აკ. ჩხენკელი შემდეგნაირად ამთავრებს: „ასეთ კრიტიკულ მომენტში პირდაპირ დანაშაულია ზიგზაგი, შიში. საჭიროა გამჭრიახობა, სიმტკიცე და გამბედაობა. საჭიროა თვალის დახამხამებაზე ზომების მიღება სიმშვიდის დაცვით. ურისკოდ არაფერი არ კეთდება. სახელმწიფო ვის დაუარსებია ურისკოდ! მაშ, საჭიროა გამბედაობა და კიდევ გამბედაობა!“⁴³

იმავე დროს აკ. ჩხენკელი დეპუტას უგზავნის გენერალ კვინიტაძეს, რომელშიაც მითითებულია ის ღონისძიებანი, რომლებიც უნდა გატარდეს სამშობლოს თავდაცვის მიზნით.⁴⁴

ამრიგად, აკ. ჩხენკელს დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს დამოუკიდებლობის მომზადებასა და გამოცხადების საქმეში.

24 მაისს ნ. ჟორდანიამ მოიწვია საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. მან დამსწრეებს გააცნო ბათუმის კონფერენციაზე შექმნილი სიტუაცია. ნ. ჟორდანიამ აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის დელეგაცია ოსმალეთის წყალობით იმყოფება კრიტიკულ მდგომარეობაში, საქმე წინ ვერ მიდის. შემდეგ შეუხო ოსმალეთის გეგმებს ამიერკავკასიის მიმართ: „ოსმალეთის წრეებში ყოფილა სამი მიმდინარეობა ამ საგანზე: ერთი ვეკიბ ფაშას მეთაურობით, ადგას იმ აზრს, რომ დელეგაციები საზავო მოლაპარაკებების დროს უნდა იდგნენ ბრესტის ხელშეკრულების ნიადაგზე. მეორე, თალაათ ფაშას მეთაურობით, - ამიერკავკასიას ჩამოერთვას სხვა ნაწილებიც. ხოლო მესამე - ენვერ ფაშას მეთაურობით, მოითხოვს, ოსმალეთს შეუერთდეს მთელი ამიერკავკასია. ოსმალეთის უკანასკნელი მოთხოვნილებაც ამ ორი ბლოკის აზრების შეერთების ნაყოფია - ეს მოთხოვნები კი არის შემდეგი: სრული შეერთება ხუთი მაზრისა /ახალციხის, ახალქალაქის, გუმბრის, სურმალინისა და შარურ დარალაგიაზის/; რკინისგზის გადაცემა ოსმალეთის ხელში, სანამ ომი იქნებოდა; ჯარის საჭმელით და ფურაჟით მომარაგება; აგრეთვე უფლებას იტოვებს, რომ სადაც

⁴² სკესა, ყონდი 1836, აღწერა 1, საქმე 132, ფ. 15. „ს.იხსტორიი მოამბე“, 1992 წ., №63-64, გვ. 179, 180.

⁴³ იქვე.

⁴⁴ იქვე.

არეულობა იქნება, თავისი ჯარი ჩააყენოს, ამის გარდა სულთანს იხსენიებოდეს სამმართველოებში და სასამართლოებში“.⁴⁵

ჟორდანია მოკლედ შეჩერდა აზერბაიჯანისა და სომხეთის საკითხზე. „გამორკვა, იქნება ანექსია, აზერბაიჯანი გახდება ოსმალეთის პროვინცია. აქ უნდა დასვან ენვერ ფაშას ძმა - ნური ფაშა, რომელიც მალე განჯაში მოვა. სომხეთის შტატი, მათი აზრით, სულ არ უნდა იქნეს ამიერკავკასიაში“.⁴⁶

შემდეგ ნ. ჟორდანიამ ილაპარაკა გერმანიის დელეგაციის პოზიციაზე: „მათ ინსტრუქცია აქვთ, დაიცვან ბრესტის ხელშეკრულება, მხოლოდ საზღვრების შესწორებაზე შეიძლება ლაპარაკიო... ფონ ლოსოვმა გვიჩინა ჩვენ - ქართველებს, დაუყოვნებლივ გამოეცხადათ დამოუკიდებლობა საქართველოსი, ვთხოვთ გერმანიას, რომ იგი იყოს საქართველოს მფარველი და ეს იქნება ის გზა, რომელიც იხსნის საქართველოს ოსმალეთის შემოსევისაგან და დაღუპვისაგან“.⁴⁷

ნ. ჟორდანია ასე აფასებს ბათუმში აკ. ჩხენკელის მოღვაწეობას: „ჩხენკელის მდგომარეობა კი პირდაპირ ტრაგიკულია; მიუხედავად იმისა, იგი კარგად იქცევა, რომ ყველანი გაკვირვებული არიან; დიდი დიპლომატიური უნარი გამოიჩინა, ბევრსაც მუშაობს; იგი ცდილობს კავშირი იქონიოს ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოებთან; ამბობს, ოსმალეთი ჩვენი მეზობელია და მასთან უნდა ვიცხოვროთ, კარგი განწყობილება ვიქონიოთ“.⁴⁸

ნ. ჟორდანიას ცნობით: „ოსმალებს შემუშავებული აქვთ ულტიმატუმი, რომელიც უნდა წარმოუდგინონ ამიერკავკასიის მთავრობას. გერმანელები ეუბნებიან თუ ულტიმატუმი იქნება თქვენგან წარმოდგენილი, ჩვენ აქედან წავალთ და უეჭველია თოფი გააკეთებს საქმესო. მათვე ჩვენებს უთხრეს, რომ ჩვენ წავალთ მაშინ ბერლინში და იქ მოვაგვარებთ აქაურ საქმესო“.⁴⁹

ნ. ჟორდანია დაწერილებით შეჩერდა იმ სიძნელეებზე, რომელსა მიზეზი იყო მუსულმანი დელეგატების აშკარა და დაუფარავი მოქმედება ოსმალეთის სასარგებლოდ. „ამნაირად, დაასკენის ნ. ჟორდანია, ამიერკავკასიის მთავრობა მათთან /ოსმალები/ არის, მაშასადამე, ამიერკავკასია როგორც ერთი მთლიანი სახელმწიფო, აღარ არსებობს, ფაქტიურად იგი დარღვეულია“.⁵⁰ მიუხედავად ასეთი დასკენისა, ნ. ჟორდანიამ ეროვნული საბჭოს და აღმასრულებელი კომიტეტის ამ სხდომაზე არ დასვა საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის

⁴⁵ სცსსა, ფონდი 1896, აღწერა 2, საქმე 48, ფ. 1 მ. სუანიძე, როგორ გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918 წლის 26 მაისს, გაზ. ახალგაზრდა ივერიელი, 1991, 28 მაისი, №61

⁴⁶ იქვე.

⁴⁷ იქვე.

⁴⁸ სცსსა, ფონდი 1896, აღწერა 2, საქმე 48, ფ. 1-2; მ. სუანიძე, დასახ. ნაშრ.

⁴⁹ იქვე.

⁵⁰ იქვე.

გამოცხადების შესახებ, რასაც ასე დაჟინებით მოითხოვდა აკ. ჩხენკელი თავის წერილებში.

24 მაისს ოსმალეთის დელეგაციის მეთაურმა ჰალილ ბეიმ უარი განაცხადა ფონ ლოსოვის შუამავლობაზე საზავო მოლაპარაკებაში.⁵¹

25 მაისს ფონ ლოსოვმა აცნობა აკ. ჩხენკელს, რომ იგი უარს აცხადებს ოსმალეთთან შუამდგომლობაზე და მიემგზავრება ბათუმიდან.⁵²

გერმანიის დელეგაციის წასვლის შემდეგ მდგომარეობა კონფერენციაზე კიდევ უფრო დაიძაბა. ამიერკავკასიის დელეგაცია მარტო დარჩა ოსმალეთის წარმომადგენლებთან. თუ ამ დრომდე ოსმალეთის დელეგაცია თავს იკავებდა აშკარა მოქმედებისაგან, ახლა მას მიეცა საშუალება, უფრო თავისუფლად ემოქმედა. გერმანიის დელეგაცია აღარ იზიარებდა ოსმალეთის ფართო დაპყრობით გეგმებს ამიერკავკასიის მიმართ, მაგრამ მას არ ჰქონდა რწმუნებულება, რომ ოფიციალურად გამოსულიყო თავისი მოკავშირის წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში გერმანიის დელეგაციამ ამჯობინა დაეტოვებინა კონფერენცია, რომ არ გამხდარიყო მონაწილე ოსმალეთის ზრახვებისა.

ამასობაში ოსმალეთის ჯარი განაგრძობდა წინსვლას, შეიჭრა ლორეში და უახლოვდებოდა თბილისს, სამხრეთიდან იგი დედაქალაქს დაშორებული იყო მხოლოდ 60 კილომეტრით.

25 მაისს მოწვეულ იქნა ქ. თბილისის თვითმმართველობის სხდომა, რომელზეც განიხილეს ოსმალეთის შემოსევისაგან დედაქალაქის დაცვის ღონისძიებანი.

აკ. ჩხენკელის ყველა ცდა, კონფერენციაზე გერმანიის დახმარებით როგორმე შეეზღუდათ ოსმალეთის დელეგაციის მოთხოვნები ამიერკავკასიის მიმართ, უშედეგოდ დამთავრდა. კონფერენციიდან გერმანიის დელეგაციის წასვლის შემდეგ ფაქტობრივად სხვა არავითარი გამოსავალი აღარ რჩებოდა, გარდა დამოუკიდებლობის გამოცხადებისა.

25 მაისს ბათუმიდან აკ. ჩხენკელის ხელმოწერით გენ. კვინიტაძის სახელზე იგზავნება დეპეშა: „საქართველოს ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმს გადაეცით შემდეგი: დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომი გაჭიანურება გამოიწვევს გამოუსწორებელ შედეგს. გერმანელების შუამავლობის ცდა არ მოხერხდა. დაგვრჩენია ერთადერთი: ოსმალეთის შემოსევას წინ დავუყენოთ დამოუკიდებელი საქართველო, რომელსაც მხარის დამჭერათ ეყოლება გერმანია“.⁵³

25 მაისს საღამოს II საათზე შედგა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. ამ ისტორიულ სხდომაზე გადაწყდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. სხდომას ესწრებოდნენ: ნ. ჟორდანიას, გ. ლასხიშვილი, პ. საყვარელიძე, კ. გვარჯალაძე, ნ. ხომერიკი, ალ. ლომთათიძე, ს. ჯიბლაძე, შ. მესხიშვილი,

⁵¹ Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тб., 1990 г, документ № 155.

⁵² იქვე, დ. № 157.

⁵³ ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, გვ.53.

კ. მესხი, ნ. რამიშვილი, იას. ლორთქიფანიძე, გ. ვეშაპელი, გ. ჟურული, ალ. ასათიანი, ი. მაჭავარიანი, დ. ვაჩნაძე, გ. გვაზავა, ირ. წერეთელი, ე. გეგეჭკორი, კ. ჩხეიძე, ვ. გობეჩია.⁵⁴

ნ. ჟორდანიამ დამსწრეთ გააცნო აკ. ჩხენკელის დეპეშის ტექსტი, სადაც იგი თხოულობდა, დაუყოვნებლივ გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა. ნ. ჟორდანიას განმარტებით, სასურველი იქნებოდა, რომ ამ სალამოსვე, 10 სათზე შეკრებილიყო ამიერკავკასიის სეიმის სხდომა, რომელზეც გამოცხადდებოდა სეიმის გაუქმება, შემდეგ კი შეიკრიბებოდა ეროვნული საბჭოს სხდომა, რომელზეც გამოცხადდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობა. მაგრამ სეიმის ზოგიერთმა /მუსავატიისტები/ ფრაქციამ ნ. ჟორდანიას განუცხადა, რომ იგი შეკრებაზე უარს აცხადებს, ვინაიდან ეს საკითხი განხილული არა აქვთ, „თუ ქართველებს სურთ დამოუკიდებლობის გამოცხადება, გამოაცხადონ, ჩვენ ხელს არ შევუშლით.“ სომეხმა დეპუტატებმა ითხოვეს სხდომის გადადება მეორე დღისათვის, რადგანაც მათ შესამუშავებელი კონკრეტული განცხადების ტექსტი. გამოითქვა წინადადება - სეიმი შედგეს ხვალ 12 საათზე, რომელზედაც სეიმის დაშლის შემდეგ, შეიკრიბებოდა ეროვნული საბჭო და გამოცხადდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობა. გამოითქვა სხვა მოსაზრებაც - რადგანაც ეს ძალიან საჩქაროა, დღესვე გამოცხადდეს საქართველოს დამოუკიდებლობა.⁵⁵

ამ წინადადების კრიტიკით გამოვიდა ნ. ჟორდანია. მისი აზრით, დღეს მიზანშეწონილი არ იქნება დამოუკიდებლობის გამოცხადება, რადგანაც სეიმი ჯერ კიდევ დაშლილი არ არის - „ორი მთავრობა იქნება, რაც შეუძლებელია... ამიტომ გამოცხადება გადაიდოს სახვალდ“.⁵⁶

ეს ორი ჯგუფი ვერ შეთანხმდა, ამიტომ, გაიმართა კენჭისყრა, ხმების უმრავლესობა /6-4-ის წინააღმდეგ/ მიიღეს დამოუკიდებლობის გამოცხადების მომხრეებმა. ამასთან დაკავშირებით, ნ. ჟორდანიამ განაცხადა, რომ ის „პასუხისმგებლობას არ კისრულობს მოსალოდნელი შედეგებისას.“⁵⁷ მაგრამ დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადება მაინც გადაიდო მეორე დღისათვის, რადგან ტექსტი ჯერ კიდევ შემუშავებული არ იყო და ვერ იქნებოდა წაკითხული. დამოუკიდებლობის აქტის ტექსტის საბოლოოდ შემუშავების მიზნით გამოიყო კომისია, რომელმაც შუა ღამეს დაამთავრა მუშაობა. ამავე სხდომაზე დაამტკიცეს საქართველოს მთავრობის შემადგენლობა. ნ. რამიშვილის წინადადებით გადაწყდა: მეორე დღეს, 26 მაისს, დილით 10 საათზე შედგეს სეიმის სხდომა, ხოლო 12 საათზე ეროვნული საბჭოსი.⁵⁷

⁵⁴ სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 49, საქმე 2, ფ. 1-4; ი. სვანიძე, როგორ გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა - გვ. 3; ა. სილაგაძე, კ. გურული, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1917-1918, გვ. 52-54; 141-143.

⁵⁵ იქვე.

⁵⁶ იქვე.

⁵⁷ იქვე.

26 მაისს 12 საათსა და 40 წუთზე გაიხსნა ამიერკავკასიის სეიმის სხდომა. სეიმის თავმჯდომარემ კარლო ჩხეიძემ ილაპარაკა ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების შესახებ და იმ სირთულეებსა და წინააღმდეგობებზე, რის გამოც ვერ მოხერხდა ზავის დადება და ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა დაშლის პირას აღმოჩნდა.

მოხსენებით გამოვიდა ნ. რამიშვილი. მან თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: „ჩვენი დელეგაცია ყოველ ღონეს ხმარობდა ამიერკავკასიის ინტერესების დასაცავად, მაგრამ, როგორც ხედავთ, იყო პირობები, რომელიც აფერხებდა მის მუშაობას. დელეგაციას ძალა მაშინ აქვს, თუ ყოველ მის ნაბიჯს ხალხის გამოძახილი მოჰყვება და პირიქით, თუ ხალხი მას არ ეხმარება და არ თანაუგრძნობს, დელეგაციის მუშაობა ყოველად წარმოუდგენელია. და აი, ახლა ჩვენ იმ მდგომარეობაში ვიმყოფებით, როდესაც არავითარი რწმენა არა გვაქვს იმისა, რომ ჩვენი დელეგაციის მუშაობა რაიმე ნაყოფს გამოიღებს. რაც დრო გადის, ამის რწმენა უფრო მცირდება, მაგრამ ზავის ჩამოგდება თანდათან ძნელდება და ამიტომ ამიერკავკასიის მთავრობა დიდ შეცდომას დაუშვებდა, ეს რომ არ ეთხოვა საბოლოოდ. და ჩვენ ვაცხადებთ: არა გვაქვს რწმენა, რომ ზავს შევკრავთ“.⁵⁸

ამ საკითხს ვრცლად შეეხო ირ. /კაკი/ წერეთელი. „ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, თქვა მან, ეს ერთობა შეუძლებელი გახდა. ამან კი მოითხოვა გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა. ამ მოკლე დროს გამოირკვა, რომ შემაერთებელი ძალები გაცილებით უფრო სუსტია, ვიდრე განმყოფი. ოსმალები მოუახლოვდნენ ჩვენს სახელმწიფოს და შემოიჭრნენ შიგ. ამ დროს ჩვენ ნათლად დავინახეთ, რომ მუსულმანი მცხოვრებნი ჩვენი სახელმწიფოისა მისკენ მიისწრაფვიან... სახელმწიფოს არსებობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც თვითოეული ერი თავის თავს ამ სახელმწიფოს მკვიდრ შეილად გრძნობს, როდესაც ის თავის თავზე იღებს მის პასუხისმგებლობას.

ერთობა საჭიროა - აი ჩვენი დებულება. მაგრამ თუ ეს დებულება აღმართულია ხანგრძლივი პერიოდისათვის, ის მართალი არ გამოდგა ამ უამად ჩვენთვის. ამიერკავკასიის რესპუბლიკამ ვერ დაიცვა თავისი ინტერესები“.⁵⁹

ი. გობეჩია /სოც. რევ./: დიდი აღელვებით ვხვდები, თქვა მან, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. რუსეთის რევოლუცია დაიშრიტა. ჩვენ გვგონია, რომ ამიერკავკასიის სეიმი გააერთიანებს ამიერკავკასიის ერებს, მაგრამ ქართველი დემოკრატია განმარტოებული დარჩა. ჩვენი ფრაქცია აცხადებს, რომ ამიერიდან ამიერკავკასიის სეიმი აღარ არსებობს და ის უნდა დაიშალოს.“⁶⁰

⁵⁸ Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тб., 1990 г, документ № 161. გაზ. სახალხო საქმე, 1918 წ., 28 მაისი.

⁵⁹ გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ., 28 მაისი.

⁶⁰ იქვე.

გ. გვაზავა /ნაც. დემ./: სეიმი იშლება, რადგან თვით სეიმში იყო ჩამარხული ძალები, მას რომ ძირს უთხრიდნენ. შემდეგ გვაზავა ამბობს, რომ ის და მისი პარტია ყოველთვის მოითხოვდა ამ ნაბიჯის გადადგმას, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას.⁶¹

კამათის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მრავალმა დეპუტატმა, სეიმმა მიიღო დადგენილება /წინააღმდეგი იყო ორი/ ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის შესახებ. დადგენილებაში ეწერა: „ვინაიდან ომისა და ზავის საკითხში გამოვლინდა ძირეული განსხვავება შეხედულებებში ამიერკავკასიის რესპუბლიკის შემქმნელ ძალებს შორის და ამიტომ შეუძლებელი გახდა ამიერკავკასიის სახელით ერთიანი ავტორიტეტული გამოსვლა, სეიმმა დაადასტურა ამიერკავკასიის დაშლა და მოხსნა თავისი უფლებამოსილება“.⁶²

კვირას, 26 მაისს, ნაშუადღევს, 4 საათსა და 50 წუთზე მოიწვიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა, რომელიც გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ. დღის წესრიგში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა. მან დამოუკიდებლობის გამოცხადება მიიჩნია „იშვიათ ისტორიულ და ამასთან ერთად ტრაგიკულ აქტად.“ „დღეს, განაცხადა ნ. ჟორდანიამ, - ამ დარბაზში, მოკვდა ერთი სახელმწიფო და საფუძველი ჩაეყარა მეორე სახელმწიფოს. საქართველოს ახალი სახელმწიფო, რომელიც არსდება დღეს, არ წავა რომელიმე ეროვნების, ხალხის თუ სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ. მისი მიზანია - დაიცვას თავი თანამედროვე ისტორიულ ქარიშხალში და როდესაც ეს მიზანი მიღწეული იქნება, იგი დახმარების ხელს გაუწვდის იმათაც, რომელთაც ჩვენს ქვეყანასთან ერთად წილად ხვდა დიდი განსაცდელი... თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ საქართველო შეჩვეულია ბრძოლას არსებობისათვის, იგი საუკუნეების მანძილზე იბრძოდა თავისი სულიერი სახის, ნაციონალური ორგანიზმისა და ტერიტორიის დასაცავად, მაგრამ იგი ყოველთვის იბრძოდა თავისი არსებობისათვის და არასოდეს აღუმართავს ხელი სხვის არსებობაზე. ამასთანავე იგი იბრძოდა არა მარტო ქართველებისათვის, არამედ იმ ხალხებისათვისაც, რომლებიც ცხოვრობდნენ მის საზღვრებში. მეტსაც ვიტყვი, იგი იბრძოდა სხვების დასაცავად თავისი საზღვრების მიღმაც... სწორედ ამაშია მიზეზი იმისა, რომ ახლაც ქართველმა ხალხმა შეინარჩუნა თავისი ძირითადი ისტორიული მისწრაფება - შეათანხმოს თავისი ინტერესები სხვა ხალხების ინტერესებთან. და ამიტომ, არცერთი ხალხი, ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები, ან მის საზღვრებს იქით, არ უნდა განიცდიდეს არავითარ აღელვებას, სულიერ ტანჯვას ან წყენის გრძნობას. და ეჭვის გარეშეა, რომ ახალი სახელმწიფო, ახალი მთავრობა სავსებით გაამართლებს ამ იმედებს. ჩვენ გვსურს გვქონდეს მეგობრული ურთიერთობა ჩვენს

⁶¹ გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ., 28 მაისი.

⁶² Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тб., 1990 г, документ № 162.

ქვეყანაში მცხოვრებ ხალხებთან და მის საზღვრებს იქით მყოფ ხალხებთანაც. ჩვენს სახელმწიფოს საზღვრებში ცხოვრობენ ნაციონალური უმცირესობანი, ჩვენ ვაცხადებთ, რომ, ჩვენი ნაციონალური უმცირესობანი იქნებიან ისევე სრულუფლებიანი, როგორც ჩვენი სახელმწიფოს ნაციონალური უმრავლესობა, ქართველი ხალხი“.⁶³

შემდეგ, 5 საათსა და 10 წუთზე ნ. ყორდანიამ წაიკითხა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტი. მასში ნათქვამი იყო, რომ საქართველოს მრავალი საუკუნის განმავლობაში ჰქონდა თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფო, მაგრამ XVIII საუკუნის დასასრულს გარეშე მტრების შემოტევის შედეგად იგი თავისი ნებით შევიდა რუსეთის მფარველობის ქვეშ, იმ პირობით, რომ იგი საქართველოს დაიცავდა გარეშე მტრების თავდასხმისაგან. ქვეყანაში შეიქმნა რთული პოლიტიკური მდგომარეობა. „დარჩნენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თავს იღვეს საკუთარ საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერისი ორგანიზაციებიც შექმნეს, მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებული კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა“.⁶⁴

შექმნილი ვითარება მოითხოვდა, რომ საქართველოს შეექმნა საკუთარი სახელმწიფო ორგანიზაცია და დამდგარიყო დამოუკიდებელი განვითარების გზაზე.

ეროვნული საბჭო სახალხოდ აცხადებდა, რომ ამიერიდან საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა, მისი მმართველობის პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა.

შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა. იგი კოალიციური იყო. მის შემადგენლობაში შევიდა სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელი. მთავრობის თავმჯდომარე გახდა ნოე რამიშვილი.

მთელი საქართველო დღესასწაულობდა ამ ისტორიულ აქტს. სამწუხაროდ, სწორედ ამ დღეს ოსმალეთმა წარუდგინა ამიერკავკასიის დელეგაციას ულტიმატუმი და მოითხოვა პასუხი 72 საათის განმავლობაში.⁶⁵

28 მაისს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს სომხეთმა და აზერბაიჯანმა.

ამგვარად, ბათუმის კონფერენციაზე შექმნილმა მდგომარეობამ დააჩქარა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების დაარსება.

ბათუმის კონფერენციაზე შესვენება დაიწყო. ოსმალეთის დელეგაცია ბათუმში დარჩა და ელოდებოდა დამოუკიდებელ დელეგაციებს საქართველოდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. საქართველოს

⁶³ გაზ. „სახალხო საქმე“, 28 მაისი. ა.სილაგაძე, ვ. გურული, დასახ. ნაშრ., გვ. 153-155.

⁶⁴ იქვე.

⁶⁵ Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тб., документ № 159.

რესპუბლიკის მთავრობამ ბათუმში ოსმალეთთან მოლაპარაკების გაგრძელება დაავალა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნოე რამიშვილს. დელეგაციის შემადგენლობაში შევიდნენ: გენერალი ოდიშელიძე, გ. რცხილაძე და გ. გვაზავა. 31 მაისს საქართველოს წარმომადგენლები ბათუმში ჩავიდნენ.

31 მაისს ნ. რამიშვილმა ოსმალეთის დელეგაციის მეთაურს ჰალილ ბეის გაუგზავნა შეკითხვა: ეხებოდა თუ არა ამიერკავკასიის რესპუბლიკისადმი 26 მაისს წარდგენილი ულტიმატუმი საქართველოს რესპუბლიკას.⁶⁶ ჰალილ ბეიმ აცნობა ნ. რამიშვილს, რომ ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის შემდეგ არავითარი პირობა არ იცვლება და წარდგენილი ულტიმატუმი, ბუნებრივია, ეხება საქართველოს რესპუბლიკასაც.⁶⁷ ის პატარა იმედი, რომელიც ჰქონდა საქართველოს დელეგაციას, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ოსმალეთი ერთგვარად შეარბილებდა თავის მოთხოვნებს საქართველოს მიმართ, არ გამართლდა.

ნ. რამიშვილმა „ოსმალეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის“ დამყარების სურვილი გამოთქვა, მხოლოდ იმ პირობით, რომ „საქართველოს სამხრეთი საზღვრები დადგენილი იქნებოდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების თანახმად“ და ამ მიზნით „შეიქმნებოდა შერეული კომისია ორივე მხარის მონაწილეობით“,⁶⁸ რაზედაც ოსმალეთი არ დათანხმდა. საქართველოს დელეგაცია იძულებული გახდა, მიეღო ულტიმატუმი და განაცხადა, რომ ოსმალეთის დელეგაცია „გაითვალისწინებდა საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებს ახალციხის და ახალქალაქის ოლქების საზღვრების დადგენის დროს“.⁶⁹

1918 წლის 4 ივნისს საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ და ოსმალეთმა ხელი მოაწერეს „მშვიდობისა და მეგობრობის“ ხელშეკრულებას. ოსმალეთის მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს: ჰალილ ბეიმ და ვეჰიბ ფაშამ, კავკასიის ფრონტის ოსმალეთის არმიის მთავარსარდალმა, საქართველოს მხრიდან - ნ. რამიშვილმა, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და შინაგან საქმეთა მინისტრმა, გენერალმა ოდიშელიძემ, დელეგატებმა: გ. გვაზავამ და გ. რცხილაძემ. ხელშეკრულება შედგებოდა 12 მუხლისა და სამი დამატებისაგან.⁷⁰

ხელშეკრულებით, ფაქტობრივად, უნდა აღდგენილიყო ის საზღვარი, რომელიც არსებობდა რუსეთსა და ოსმალეთს შორის ადრიანოპოლის ტრაქტატამდე. საზავო ხელშეკრულებით ოსმალეთს გადაეცა ბათუმისა და ყარსის ოლქები, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები. ახალციხის მაზრიდან საქართველომ შეინარჩუნა აბასთუმნისა და აწყურის

⁶⁶ Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тб., документ № 168.

⁶⁷ იქვე, დ. № 169.

⁶⁸ იქვე, დ. № 170.

⁶⁹ იქვე, დ. № 171.

⁷⁰ იქვე, დ. № 172, 173, 174, 175.

რაიონები. ეს იყო ის დათმობა, რაზედაც წავიდა ოსმალეთის დელეგაცია.

ხელშეკრულების მესამე მუხლი ითვალისწინებდა შემდგომში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ურთიერთგამიჯვნას, რაც სათანადოდ ასახული იქნებოდა ოქმში.

ხელშეკრულების მეექვსე მუხლით საქართველოში მცხოვრები მუსლიმები ისარგებლებდნენ იმავე რელიგიური და პოლიტიკური უფლებებით, რომლითაც სარგებლობდნენ სხვა მოქალაქეები. „სულთნის სახელს მუსლიმები მოიხსენიებენ საჯარო ლოცვის დროს“.

ხელშეკრულების მეთერთმეტე მუხლით საქართველო ცნობდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების პირობებს.

ხელშეკრულების რატიფიკაცია / მე-12 მუხლი / უნდა მომხდარიყო ერთი თვის განმავლობაში და იგი ძალაში შევიდოდა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის შემდეგ.

ხელშეკრულებას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰქონდა სამი დამატება. პირველი ეხებოდა ვაჭრობასა და ნავიგაციას. ორივე მხარეს ეძლეოდა „უმეტესი მფარველობის უფლება.“ მეორე დამატება ეხებოდა საზღვრისპირა რაიონებში ვაჭრობაში პრივილეგიებს. მესამე დამატების საფუძველზე თბილისში უნდა დაარსებულიყო მთავარი მუფტის თანამდებობა, რომელიც იქნებოდა საქართველოში მცხოვრები მუსლიმების /სუნიტების/ მართლმსაჯული და მათი რელიგიური, ქონებრივი და კულტურული საქმიანობის მომწესრიგებელი.

საქართველოსა და ოსმალეთს შორის დაიდო, აგრეთვე, დამატებითი ხელშეკრულება,⁷¹ რომლის თანახმად, საქართველო ვალდებული იყო, დაუყოვნებლივ მოეხდინა ჯარების დემობილიზაცია. აგრეთვე საქართველოს ევალებოდა, განედევნა თავისი ტერიტორიიდან ყველა სამხედრო და სამოქალაქო პირი იმ ქვეყნებისა, რომლებიც ოსმალეთსა და მის მოკავშირეებს ებრძოდნენ /იგულისხმება ანტანტის სახელმწიფოები/.

გარდა ამისა, ოსმალეთმა მიიღო უფლება, კონტროლი დაეწესებინა საქართველოს მთავარ სტრატეგიულ რკინიგზაზე, გამოეყენებინა ისინი თავისი სამხედრო ინტერესებისათვის.

გენერალმა ოდიშელიძემ და ვეჰიბ ფაშამ ხელი მოაწერეს დამატებითი ხელშეკრულების განსაკუთრებულ დანართს, რომელიც ადგენდა სამხედრო ტყვეების გაცვლის წესს.

დაიდო აგრეთვე კონვენცია, რომელიც ითვალისწინებდა ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის წესრიგში ყოფნას და მის შეუფერხებლად მუშაობას.⁷² ამ დოკუმენტს ხელი მოაწერეს აზერბაიჯანის, საქართველოსა და ოსმალეთის წარმომადგენლებმა. ოსმალეთი დიდად იყო დაინტერესებული ამ ნავთობსადენის ექსპლუატაციით.

⁷¹ Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тб., документы № 176, 177.

⁷² იქვე, № 178.

დასასრულ, კავკასიის სამ რესპუბლიკას შორის დაიდო შეთანხმება ამიერკავკასიის რკინიგზების მოძრავი შემადგენლობის განაწილების შესახებ,⁷³ თითოეული ამ რესპუბლიკის მიწა-წყალზე გამავალი რკინიგზის სიგრძის პროპორციულად.

იმავე დღეს, ე.ი. 4 ივნისს ბათუმში ხელი მოეწერა სამშვიდობო საზავო ხელშეკრულებებს დამატებითი შეთანხმებებით /ოსმალეთსა და სომხეთს შორის და ოსმალეთსა და აზერბაიჯანს შორის/.

საქართველოსა და ოსმალეთს შორის დადებული ხელშეკრულებები ძალზე მძიმე და კაბალური იყო. საქართველოს მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მდგომარეობა შეიცვლებოდა და საქართველო შეძლებდა ამ ხელშეკრულებიდან თავის დაღწევას.

საქართველოს არ მოუხდენია ხელშეკრულების რატიფიკაცია და იგი ძალაში არ შესულა.

1918 წლის 30 ოქტომბერს ოსმალეთმა კაპიტულაცია გამოაცხადა ანტანტის სახელმწიფოების წინაშე და საქართველო-ოსმალეთის ხელშეკრულებამ ძალა დაკარგა.

MIKHIL SVANIDZE

BATUMI CONFERENCE OF MAY 11-JUNE 4, 1918 AND THE FOUNDING OF THE GEORGIAN DEMOCRATIC REPUBLIC

Summary

At the Batumi Conference the Turkish delegation demanded the restoration between Turkey and Transcaucasia of the border that had existed between Russia and Turkey prior to the Treaty of Adrianople. The Transcaucasian delegation, however, was ready to start negotiations on the basis of the Brest Treaty, which was bitterly opposed by Turkey. Refusing to make any concessions, Turkey proceeded to occupy the territory of Georgia and Armenia.

The attempt of the Transcaucasian delegation to settle the dispute through the mediation of the representatives of Germany failed.

On 26 May the Transcaucasian Federative Republic broke up and the Georgian Democratic Republic was formed on the same day. The Armenian

⁷³ Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тб., документ № 179.

and Azerbaijanian Republics were founded on 28 May. The dissolution of the Transcaucasian Federative Republic and the establishment of the Transcaucasian Republics were accelerated by the situation at the Batumi Conference.

On 26 May Turkey sent an ultimatum to the Transcaucasian delegation. The governments of the Transcaucasian Republics were forced to accept the ultimatum and the negotiations continued. On 4 June treaties were concluded between Turkey and Georgia, as well as between Turkey and the Armenian Republic and Turkey and the Azerbaijanian Republic.

A Treaty of "Peace and Friendship" was signed between Georgia and Turkey. It consisted of 12 articles and 3 annexes. By the Treaty, the Batumi and Kars regions and the districts of Akhaltsikhe and Akhalkalaki were transferred to Turkey. Of the Akhaltsikhe district Georgia retained only Abastumani and Atsquri.

An additional treaty was also concluded between Georgia and Turkey, by which Georgia was obliged to demobilize its troops immediately. Besides, Turkey received the right to establish control over Georgia's major strategic railways.

A convention was also concluded, providing for the maintenance of the Baku-Batumi Oil Pipeline in good repair and its uninterrupted functioning, in which Turkey was specially interested.

The Peace Treaty was to be ratified within a month. The terms of the Treaty were too harsh for Georgia, hence it was not ratified and it never entered into force.

On 30 October 1918 Turkey surrendered to the Entente states and the Georgian-Turkish Treaty became void.